KA030101696818218

№ 01-12836 **08 / ივნისი / 2018 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს ბატონ
დავით სერგეენკოს

ადამიანური რესურსების მართვისა
და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსის, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 11 - 15 ივნისს დანიაში, ქ. კოპენჰაგენში ევროპის დაავადებათა პრევენციის კონტროლის ცენტრისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის ბიუროს მიერ დაგეგმილია შეხვედრა ანტიმიკრობული რეზისტენტობის საკითხებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მარინა დარახველიძე.

ვიზიტში მონაწილეობის ხარჯები სრულად ანაზღაურდება მიმწვევი მხარის მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი მარინა დარახველიძისათვის მიმდინარე წლის 10 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია